ში კონცენტრაციის პიკს აღწევს 1სთ-იდან  
2სთ-ის ინტერვალში. საკვების მიღება გავ-  
ლენას არ ახდენს პრეპარატის აბსორბცი-  
ის ხარისხზე, ამიტომ მის დანიშვნა შეიძ-  
ლება საკვების მიღებისაგან დამოუკიდებ-  
ლად.

ფერმენტ ციტოქრომ P-450-ის საშუალებით რისპერიდონი მეტაბოლიზდება მისი ანალოგიური ფარმაკოლოგიური მოქმედების მქონე 9-ჰიდროქსი რისპერიდონად. რისპერიდონი და 9-ჰიდროქსი რისპერიდონი წარმოადგენენ აქტიურ ანტიფსიქოზურ ფრაქციას. რისპერიდონი მეტაბოლიზმის სხვა გზას წარმოადგენს N-დეზალკილირება.

ფსიქოზით დაავადებულ ავადმყოფებში პრეპარატის პერორალური მიღების შემდეგ მისი ნახევრადგამოყოფის პერიოდი შეადგენს 3სთ-ს, ხოლო 9-ჰიდროქსი-რისპერიდონის და აქტიური ანტიფსიქოზური ფრაქციის ნახევრად გამოყოფის პერიოდი-24სთ-ს.

უმრავლეს პაციენტთა ორგანიზმში რისპერიდონი წონასწორულ კონცენტრაციას აღწევს 1 დღის განმავლობაში. 9-ჰიდროქსი რისპერიდონი -4-5 დღის განმავლობაში.

პლაზმაში რისპერიდონის კონცენტრაცია პრეპარატის დოზის პროპორციულია (თერაპიული დოზის ფარგლებში).

რისპერიდონი სწრაფად ნაწილდება ორგანიზმში და მისი განაწილების მოცულობა შეადგენს 1-2ლ/კგ-ზე. პლაზმაში იგი უკავშირდება ალბუმინს და ალფა<sub>1</sub>-გლიკოპროტეინს.

რისპერიდონის კავშირი პლაზმის ცილებთან შეადგენს 88%-ს, ხოლო 9-ჰიდროქსი რისპერიდონის-77%-ს.

ერთი კვირის შემდეგ პრეპარატის მიღებულ დოზის 70% გამოიყოფა შარდთან ერთად, ხოლო 14%- განავალთან ერთად. შარდში რისპერიდონის და 9-ჰიდროქსი რისპერიდონის რაოდენობა შეადგენს მიღებული დოზის 35-45%-ს, დანარჩენ რაოდენობას კი არააქტიური მეტაბოლიტები.

პრეპარატის ერთჯერადი მიღების შემდეგ ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა პლაზმაში პრეპარატის აქტიური კონცენტრაციების მაღალი მაჩვენებლები და ორგანიზმიდან მისი ნელი გამოყოფის პერიოდს ხანდაზმულ და თირკმელების უკმარისობის მქონე პაციენტებში. ღვიძლის უკმარისობის მქონე პაციენტების პლაზმაში რისპერიდონის კონცენტრაცია მერყეობდა ნორმის ფარგლებში.

### ჩვენებები

რისპერიდონს იყენებენ მწვავე შეტევების კუპირებისა და ხანგრძლივი შემანარჩუნებელი მკურნალობის მიზნით:

-შიზოფრენიის მწვავე და ქრონიკული ფორმის და სხვა, როგორც პროდუქტიული აგრეთვე ნეგატიური სიმპტომების მქონე ფსიქოზური მოშლილობების დროს;

-სხვადასხვა ფსიქოზური დაავადებებით გამოწვეული აფექტური მოშლილობების დროს;

-ქცევითი მოშლილობების დროს დემენციით დაავადებულ პაციენტებში აგრესიული სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში (ფიზიკური ძალადობა, გაცხარება), III ქცევითი დარღვევების (აგზნება, ბოღვა) ან ფსიქოზური სიმპტომების დროს.

-როგორც ხასიათის სტაბილიზატორი დამხმარე სამკურნალო საშუალების სახით მანის სამკურნალოდ ბიპოლარული მოშლილობების დროს.

### დოზირება

#### შიზოფრენია:

სხვა ანტიფსიქოზური საშუალებებით ჩატარებული მკურნალობის შემდეგ.

რისპერიდონით მკურნალობის დასაწყისში რეკომენდებულია, თუ იგი კლინიკურად

შესაძლებელია, წინამდებარე მკურნალობის თანდათან შეწყვეტა. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტები გადადიან ანტიფსიქოზური პრეპარატების დეპო ფორმებით მკურნალობიდან, მაშინ რისპერიდონით მკურნალობის დაწყება რეკომენდებულია შემდგომი დაგეგმილი ინექციის ნაცვლად. მკურნალობის პერიოდში აუცილებელია პერიოდულად ანტიპარკინსონული პრეპარატების გამოყენება.

მონარდობებს რისპერიდონი ენიშნებათ 1-ჯერ ან 2-ჯერ დღეში.

საწყისი დოზა შეადგენს -2მგ-ს დღეში.

მეორე დღეს საჭიროა დოზის გაზრდა 4მგ-მდე დღეში. ამ დროიდან შესაძლებელია დოზის გარკვეულ დონეზე შენარჩუნება, ან აუცილებლობის შემთხვევაში დოზის ინდივიდუალური კორექცია. ჩვეულებრივ ოპტიმალურ დოზას წარმოადგენს 4-6მგ დღეში. ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია დოზის საფეხურებრივი ზრდა და შედარებით მცირე საწყისი და შემანარჩუნებელი დოზები.

პრეპარატის მიღება დღედაღამეში 10მგ-ზე მაღალი დოზებით არ არის მაღალეფექტური დაბალ დოზებთან შედარებით და იწვევს ექსტრაპირამიდული სიმპტომების განვითარებას.

16მგ-ზე მეტი დოზით პრეპარატის მიღება რეკომენდებული არ არის, რადგან არ არსებობს აღნიშნული დოზით პრეპარატის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონაცემები.

რისპერიდონით მკურნალობის დროს, დამატებითი სედატიური ეფექტისათვის, შესაძლებელია ბენზოდიაზეპინების დამატება.

### ხანდაზმული პაციენტები:

რეკომენდებული საწყისი დოზა შეადგენს 0.5მგ-ს 2-ჯერ დღეში. დოზის გაზრდა შესაძლებელია ინდივიდუალურად 0.5მგ-ით 2-ჯერ დღედაღამეში 1-2მგ-მდე 2-ჯერ დღეში.

### ბავშვები:

მონაცემები პრეპარატის გამოყენების შესახებ 15 წლამდე ასაკის ბავშვებში არ არსებობს.

### ღვიძლის და თირკმელების დაავადებები:

რეკომენდებული საწყისი დოზა-0.5მგ 2-ჯერ დღეში. აღნიშნული დოზის გაზრდა შესაძლებელია 0.5მგ-ით 2-ჯერ დღეში 1-2მგ-მდე 2-ჯერ დღეში.

შემდგომი ინფორმაციის მიღებამდე აღნიშნული ჯგუფის პაციენტებში რისპერიდონის დანიშნვა წარმოებს განსაკუთრებული სიფრთხილით.

### ქცევის მოშლა დემენციით დაავადებულ ავადმყოფებში:

რეკომენდებული საწყისი დოზა შეადგენს 0.25მგ 2-ჯერ დღეში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დოზის გაზრდა 0.25მგ-ით 2-ჯერ დღეში, არა უმეტეს ერთი დღის შემდეგ. თუმცა ზოგიერთ პაციენტებში ნაჩვენებია 1მგ-ის მიღება 2-ჯერ დღეში.

ოპტიმალური დოზის მიღების შემდგომ რეკომენდებულია პრეპარატის მიღება 1-ჯერ დღეში.

### მანით გამოწვეული ბიპოლარული მოშლილობები:

რეკომენდებული საწყისი დოზა შეადგენს 2მგ-ს დღეში ერთ მიღებაზე. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული დოზის გაზრდა 2მგ-ით დღეში. უმრავ-

ლესი პაციენტებისათვის ოპტიმალურ დოზას შეადგენს 2-6მგ დღეში.

### გვერდითი მოვლენები

უფრო მეტად გავრცელებული-უძილობა, აფიტაცია, განგაში, თავის ტკივილი.

ნაკლებად გავრცელებული-ძილიანობა, ადვილად დაღლა, თავბრუსხვევა, კონცენტრაციის დარღვევა, ყაზხოზა, დისპეფსია, გულისრევა/ღებინება, ადრინალობა ტკივილები, მხედველობის გაუარესება, პრიაპიზმი, ერექციის, ეაკულაციის, ორგანიზმის დარღვევა, შარდის შეუკავებლობა, რინიტი, გამონაყარი და სხვა ალერგიული რეაქციები.

კლასიკური ნეიროლეფსიური საშუალებებისაგან განსხვავებით რისპერიდონი იწვევს მცირე ხარისხის შემდეგი ექსტრაპირამიდული სიმპტომების განვითარებას:

ტრემორი, რიგიდულობა, ჰიპერსალივაცია, ბრადიკინეზია, აკატია, მწვავე დისტონია. აღნიშნული სიმპტომები ძირითადად ნაკლებად გამოხატულია და შექცევადია დოზის შემცირების დასან (აუცილებლობის შემთხვევაში) ანტიპარკინსონული პრეპარატების დანიშნვის შემთხვევაში.

იშვიათად აღინიშნება ორთოსტატური ჰიპოტონია, რეფლექტორული ტაქიკარდია ან ჰიპერტონია. ადგილი აქვს აგრეთვე ნეიტროფილების დასან თრომბოციტების რაოდენობის უმნიშვნელო შემცირების პროცესს.

რისპერიდონი აინდუცირებს პლაზმაში დოზისადმი დამოკიდებული პროლაქტინის კონცენტრაციის გაზრდას, რაც ვლინდება გალაქტორეით, გინეკომასტიით, მენსტრუალური ციკლის დარღვევით და ამფორეით. მკურნალობის პერიოდში აღინიშნება წონაში მომატება, ადგილი აქვს ანგიონევროზულ შემუშუპებას და ღვიძლის ფერმენტების აქტივობის მომატებას.

ისევე როგორც სხვა კლასიკური ნეიროლეფსიური საშუალებების გამოყენების დროს, იშვიათად შეიზოფრენიით დაავადებულ ავადმყოფებში აღინიშნება ჰიპერვოლემია (პოლიდიფსიის ან ანტიდიურეზული ჰორმონის არაადეკვატური სეკრეციის სინდრომის გამო), გვიანი დისკინეზია, ნეიროლეფსიური ავთვისებიანი სინდრომი, თერმორეგულაციის დარღვევა და კრუნჩხვებით გამოწვეული გულყრები.

### უაჩვენებები

მომატებული მგრძობელობა პრეპარატის მიმართ.

### განსაკუთრებული მითითებები

რისპერიდონის α-მაბლოკირებელი მოქმედების გამო, განსაკუთრებით დოზის შერჩევის საწყისი პერიოდში, არსებობს ორთოსტატური ჰიპოტონიის განვითარების შესაძლებლობა.

რისპერიდონი განსაკუთრებული სიფრთხილით ენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პაციენტებს (მაგ. გულის უკმარისობა, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის გამტარებლობის დარღვევა), აგრეთვე დეპრეზიის, ჰიპოვოლემიის ან ცერებროვასკულური მოშლილობების დროს; ამ დროს საჭიროა მიღებული რეკომენდაციების თანხმად დოზის თანდათან გაზრდა. ჰიპოტონიის განვითარების შემთხვევაში კი- დოზის შემცირება.

ლოფამინური რეცეპტორების მიმართ ანტაგონისტური თვისებების მქონე პრეპარატების გამოყენებით აღინიშნება უნებლიერი მოძრაობებისათვის დამახასიათებელი (განსაკუთრებით ენის დასან სხვის) გვიანი დისკინეზია. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ექსტრაპირამიდული

სიმპტომების წარმოქმნა წარმოადგენს გვიანი დისკინეზიის განვითარების რისკ ფაქტორს.

რისპერიდონი კლასიკურ ნეიროლეფსიურ საშუალებებთან შედარებით იწვევს უფრო ნაკლებ ხარისხის ექსტრაპირამიდული სიმპტომების წარმოქმნას.

გვიანი დისკინეზიის ნიშნებისა და სიმპტომების განვითარების შემთხვევაში, საჭიროა ყველა ანტიფსიქოზური საშუალებებით მკურნალობის შეწყვეტა.

კლასიკური ნეიროლეფსიური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში აღწერილია ჰიპერთერმიით, კუნთოვანი რიგიდობით, ავტონომიური ფუნქციების არასტაბილურობით, მეზსიერების დარღვევით და კრეატინინ-ფოსფოკინაზის მაჩვენებლების მომატებით მიმდინარე ნეიროლეფსიური ავთვისებიანი სინდრომის განვითარების შემთხვევები. ამ დროს საჭიროა ყველა ანტიფსიქოზური საშუალებების და მათ შორის რისპერიდონის მიღების შეწყვეტა.

ხანდაზმულ, აგრეთვე ღვიძლისა და თირკმელების უკმარისობის მქონე პაციენტებში, რეკომენდებულია პრეპარატის როგორც საწყისი, აგრეთვე შემდგომი მომატებული დოზების ორჯერ შემცირება.

რისპერიდონი განსაკუთრებული სიფრთხილით ენიშნებათ აგრეთვე პარკინსონიზმით შეპყრობილ ავადმყოფებს, რადგან, თეორიულად, მან შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული დაავადების მიმდინარეობის გართულება.

კლასიკური ნეიროლეფსიური საშუალებები შედარებით მცირედ აქვეითებენ ეპილეფსიური გულყრების სიხშირეს.

პაციენტებმა, სხეულის წონის მატებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია თავი შეიკავონ ზომაზე მეტი საკვების მიღებისაგან. რისპერიდონი იწვევს გონებრივი და ფიზიკური აქტივობის დაქვეითებას, ამიტომ პრეპარატის მიღება ეკრძალებათ მძღოლებს ავტოტრანსპორტის მართვისა დროს და იმ პირებს, რომელთა სამუშაოს შესრულება მოითხოვს ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას.

### ორსულობა და ლაქტაცია

რისპერიდონის უსაფრთხოება ორსულებში შესწავლილი არ არის.

მისი გამოყენება იმ შემთხვევაშია რეკომენდებული, როდესაც ღვიძლისთვის მოსალოდნელი სარგებლიანობა მკვეთრად აღემატება მისი მოქმედების პოტენციურ რისკს. რადგან რისპერიდონი და 9-ჰიდროქსი რისპერიდონი გადადის ღვიძლის რძეში, ამიტომ ლაქტაციის პერიოდში საჭიროა ძუძუთი კვება შეწყვეტა.

### ჭარბი დოზირება

სიმპტომები:

ძილიანობა და სედაციური ეფექტი, ტაქიკარდია და ჰიპოტონია, აგრეთვე ექსტრაპირამიდული სიმპტომები. აღწერილია შემთხვევა პრეპარატის 360მგ-მდე დოზით მიღების შესახებ.

იშვიათ შემთხვევებში დოზის გადაჭარბების დროს ადგილი აქვს PQ ინტერვალის გახანგრძლივებას.

### მკურნალობა

საჭიროა სასუნთქი გზების ადექვატური მომარაგება ჟანგბადით და მათი ნორმალური ვენტილაცია, კუჭის გამორეცხვა (ინტუბაციის შემდეგ, იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფი უგონო მდგომარეობაშია) და საფარათო საშუალებებთან ერთად გააქტივებული ნახშირის დანიშნა.

შესაძლებელი არითმიების გამოვლენის მიზნით საჭიროა დაუფონებლივ ელექ-

ტროკარდიოგრაფიული მონიტორირების დაწყება.

რისპერიდონის სპეციფიური ანტიდოტი არ არსებობს.

საჭიროა შესაბამისი ვიტალური ფუნქციის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება. ჰიპოტონია და სისხლძარღვთა კოლაფსს მკურნალობენ სითხეების ვენაში ინფუზიით და სიმპატომიმეტიკური პრეპარატებით. მწვავე ექსტრაპირამიდული სიმპტომების განვითარების შემთხვევაში ინიშნება ანტი-ქოლინერგიული პრეპარატები.

ყოველდღიური სამედიცინო დაკვირვება და მონიტორირება წარმოებს ინტოქსიკაციების სიმპტომების სრულ გაქრობამდე.

### სხვა წაალებთან ურთიერთქმედება

რისპერიდონის ც.ნ.ს-ზე უშუალო ზემოქმედების გამო იგი სიფრთხილით ენიშნებათ ცენტრალური მოქმედების მქონე სხვა პრეპარატებთან ერთად.

რისპერიდონს ახსიათებს ლევოდოპას და მიმართ ანთაგონიზმის უნარი.

კარბამაზეპინის გამოყენებით აღინიშნება პლაზმაში რისპერიდონის აქტიური ანტიფსიქოზური ფრაქციის კონცენტრაციის დაქვეითება. ანალოგიურ ეფექტებს ადგილი აქვს ღვიძლის ფერმენტების სხვა ინდუქტორების დანიშნის შემთხვევაში. კარბამაზეპინით და ღვიძლის ფერმენტების სხვა ინდუქტორებით მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში, საჭიროა რისპოლეპტის დოზის გადამოწმება და აუცილებლობის შემთხვევაში მისი შემცირება.

ფენოთაინიზმი, ტრიცაგლური ანტიდებრესანტი და ზოგიერთი ბეტა-ადრენოლოკატორები იწვევენ პლაზმაში რისპერიდონის კონცენტრაციის მომატებას, თუმცა იგი გავლენას არ ახდენს აქტიური ანტიფსიქოზური ფრაქციის კონცენტრაციაზე.

ფლუოქსეტინი ზრდის რისპერიდონის კონცენტრაციას პლაზმაში, ხოლო შედარებით მცირე ხარისხით- აქტიური ანტიფსიქოზური ფრაქციის კონცენტრაციას.

პლაზმის ცილებთან მაღალი შეკავშირების უნარის მქონე პრეპარატებთან რისპოლეპტის კომბინაციით, პლაზმის ფრაქციიდან რომელიმე მათგანის კლინიკურად გამოხატული გამოძევება არ აღინიშნება

## rispol epti (Rispolipt)

**ფორმა:** პერორალური ხსნარი 1მგ/მლ 30მლ, 100მლ ფლაკონი

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ნეიროლეფსიური საშუალება  
JANSSEN PHARMACEUTICA N.V, Belgium  
R 0001575 17.12.01  
იხ. რისპერიდონი

## rispol epti (Rispolipt)

**ფორმა:** ტაბლეტი 1მგ; 2მგ; 3მგ; 4მგ №20

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ნეიროლეფსიური საშუალება  
JANSSEN-CILAG S.P.A for JANSSEN PHARMACEUTICA N.V, Italy  
R 0003689 05.11.03  
იხ. რისპერიდონი

## ri fampicini - RIFAMPICIN

### კლინიკო-ფარმაკოლოგიური ჯგუფი

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

### ფარმაკოლოგიური თვისებები

რიფამპიცილი წარმოადგენს რიფამპიცილების ჯგუფის ფართო სპექტრის ნახევრადსინთეზურ ანტიბიოტიკს. ახსიათებს ბაქტერიოსტატული, ხოლო მაღალ დოზებში-ბაქტერიციდული მოქმედება. მაღალი აქტივობით გამოირჩევა ტუბერკულოზის მიკობაქტერიის მიმართ. იგი წარმოადგენს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პირველი რიგის პრეპარატს. აქტიურია გრამდადებითი მიკროორგანიზმების (სტაფილოკოკების, მათ შორის მულტირეზისტენტული, სტრეპტოკოკების, ციმბირის წყალულის გამომწვევი ჩხირების, კლოსტრიდიების), აგრეთვე ზოგიერთი გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების მიმართ. იგი ასევე მოქმედებს ბრუცელაზის, ლეგიონერების დაავადების, კეთრის, ტრაქომის გამომწვევებზე. პრეპარატი-სადაც მდგრადობა ვითარდება სწრაფად, თუმცა ჯვარედინი რეზისტენტობა სხვა ანტიტუბერკულოზური პრეპარატებისადაც (სხვა რიფამპიცილებისაგან განსხვავებით) არ აღინიშნება.

### ფარმაკოკინეტიკა

რიფამპიცილი კარგად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, იგი აღწევს კავერნაში, ძვლისა და სხვა ქსოვილებში. ორგანიზმიდან ძირითადად გამოიყოფა ღვიძლისა და თირკმელების საშუალებით. შიგნით მიღებისას მისი მაქსიმალური კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში აღინიშნება 2-2.5 სთ-ის შემდეგ.

### ჩვენებები

- ტუბერკულოზის ყველა ფორმა (სხვადასხვა ლოკალიზაციის);

- მენინგოკოკების მატარებელ ავადმყოფთა პროფილაქტიკური მკურნალობა;

- ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, გამოწვეული პრეპარატისადაც მგრძობიარე მიკროორგანიზმებით (უპირველეს ყოვლისა მულტირეზისტენტული სტაფილოკოკები);

- პნევმონიები, ბრონქოპნევმონიები, ოსტეომიელიტი, პიელონეფრიტი, კეთრი, მწვავე გონორეა და სხვა დაავადებების ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის შემთხვევაში.

რიფამპიცილი ხასიათდება ცოფის ვირუსის მიმართ ვირულოციდული ეფექტით. იგი თრეუნავს რაბიული ენცეფალიტის განვითარების პროცესს, რის გამოც პრეპარატს იყენებენ ცოფის კომპლექსური მკურნალობისათვის ინკუბაციურ პერიოდში.

### დოზირება

ინდივიდუალურია. რიფამპიცილის შიგნით იღებენ უხშირე (0.5-1 სთ-ით ადრე ჭამამდე) ან უმეტეს ვენაში წვეთოვანი სახით (მხოლოდ მოზრდილებში). ხსნარის მოსამზადებლად 0.15 გ-ს პრეპარატს ხსნიან 2.5 მლ სტერილურ საინექციო წყალში (ამჟღელას შეანჯღრევენ), შემდეგ მიღებულ ხსნარს ხსნიან 125 მლ 5%-იან გლუკოზის ხსნარში.

დოზირება წარმოებს ინდივიდუალურად პაციენტის წონის გათვალისწინებით.

### ტუბერკულოზი:

საშუალო სადღეღამისო დოზა მოზრდილებში შეადგენს 0.45 გ-ს (ერთხელ დღეში). ავადმყოფებში, რომელთა სხეულის წონა 50 კგ-ზე მეტია, დაავადების გამწვავების პერიოდში შესაძლებელია სადღეღამისო დოზა გაიზარდოს 0.6 გ-მდე.

2 თვემდე ასაკის ახალშობილებს და ძუძუთი კვებაზე მყოფ ბავშვებს ენიშნებათ 10 მგ/კგ წონაზე ერთხელ დღეში;

ჩვილ ბავშვებს 2 თვის ასაკის შემდეგ-15 მგ/კგ წონაზე ერთხელ დღეში (1-2 კაფსულა);

3 წლიდან 12 წლამდე ასაკის ზევით საშუალო სადღეღამისო დოზა შეადგენს არაუმეტეს 450 მგ დღეში 1 ან 2 მიღებაზე. ხანგრძლივი მკურნალობის დროს დოზა არ უნდა აღემატებოდეს 450 მგ-ს.

აქტიური გართულებები ტუბერკულოზური პროცესის მკურნალობა გრძელდება 6-დან 12 თვემდე. მკურნალობის ხანგრძლივობას ადგენს მკურნალი ექიმი.

არატუბერკულოზური წარმოშობის ინფექციების დროს მოზრდილებს ენიშნებათ პრეპარატის 0.45-0.9 გ დღეში, ხოლო ბავშვებს 8-10 მგ/კგ წონაზე დღეში 2-3 მიღებაზე.

მოზრდილებში ვენაში შეჰყავთ 7-10 დღის განმავლობაში 0.3-0.9 გ 2-3 შეყვანაზე. მწვავე კონორიის დროს ენიშნებათ 0.9 გ დღეში 1-2 დღის განმავლობაში.

ცოფის პროფილაქტიკისათვის მოზრდილებს შეიძლება მისაღებად ენიშნებათ 0.45-0.6 გ დღეში. მძიმე შემთხვევებში (თავის ძილამოში, სახეზე და ხელზე კბენის დროს) ენიშნებათ პრეპარატის 0.9 გ დღეში. ბავშვებს 12 წლის ასაკამდე-8-10 მგ/კგ წონაზე 2-3-ჯერ დღეში, მკურნალობის ხანგრძლივობა შეადგენს 5-7 დღეს.

*მენინგოკოკური პროცესის პროფილაქტიკა:* ჩვილ ბავშვებს 3-დან 12-თვემდე ენიშნებათ 5 მგ/კგ წონაზე 2-ჯერ დღეში 2 დღის განმავლობაში.

ბავშვებში 1-დან 12-წლამდე-10 მგ/კგ წონაზე 2-ჯერ დღეში 2 დღის განმავლობაში.

ბავშვებში 12 წლის ასაკის ზემოთ და მოზრდილებში-600 მგ 2-ჯერ დღეში, 4 კაფსულა 2 დღის განმავლობაში;

### გვერდითი მოვლენები

ღვიძლის ფუნქციის დარღვევა, სიყვიითლე და ბილირუბინის დონის და ღვიძლის ტრანსამინაზების აქტივობის მომატება, ღვიძლის გადიდება (ალკოპოლიზმით დაავადებული ავადმყოფები);

პრეპარატის ვენაში სწრაფად შეყვანისას, შესაძლებელია არტერიული წნევის მკვეთრი დაქვეითება, ხოლო ხანგრძლივი გამოყენებისას ვითარდება ფლუიდი.

*რიფამპიცინის რეგულარული გამოყენებისას აღინიშნება:* გულისრევა, ღებინება, ტემპერატურის მომატება, გამონაყარი კანზე, ჰერპესი, კუნთების და სახსრების ტკივილები, მენსტრუალური ციკლის მოშლა, მხედველობის დარღვევა.

იშვიათად აღინიშნება: ლეიკოპენია, სპონტანური კაპილარული სისხლდენა (პურპურა), ქავილი, ჭინჭრის ციება, ქსოვილების შემუშვება, სუნთქვის დარღვევა, ფილტვების შემუშვება, მხედველობის დარღვევა, კანის ჰიპერემია, თირკმელების მილაკების ნეკროზი, ინტერსტიციული ნეფრიტი.

არარეგულარული მკურნალობისას ან მისი განახლებისას შესაძლებელია გრიპისმაგვარი სიმპტომების, თირკმელების მწვავე უკმარისობის, ჰემოლიზური ანემიის, თრომბოციტოპენიური პურპურის, ცხელების და გამონაყარის განვითარება.

### უკუჩვენებები

მომატებული მგრძობელობა რიფამპიცინის მიმართ.

ღვიძლის ფუნქციის მძიმე დარღვევები, სიყვიითლე (ობტურაციული სიყვიითლე), ღვიძლის ციროზის აქტიური ფორმა, ღვიძლის ანთება (მწვავე ჰეპატიტი ანამნეზში 1 წელზე უფრო ნაკლებ პერიოდში) ალერგიული რეაქციები.

მსუბუქი ჰიპერერგული რეაქციების დროს, პრეპარატის განმეორებითი მიღება შესაძლებელია ხანმოკლე შესვენების და აღნიშ-

ნული რეაქციების სიმპტომების გაქრობის შემდეგ.

პრეპარატის ვენაში შეყვანა წინააღმდეგნაპირულია ფილტვებისა და გულის უკმარისობის, თირკმელების ფუნქციის დარღვევის. აგრეთვე ფლუიდის დროს.

### ორსულობა და ლაქტაცია

წინააღმდეგნაჩვენებია.

### განსაკუთრებული მითითებები

რიფამპიცინი სიფრთხილით ენიშნებათ ავადმყოფებს- ღვიძლის ფუნქციის დარღვევით.

პრეპარატის მიღება იწყებს შარდის, ნერწყვის, ცრემლის წითლად შეფერვას.

შაქრიანი დიაბეტის ფონზე მიმდინარე ტუბერკულოზის სამკურნალოდ, რიფამპიცინის ვენაში შეყვანისას, გლუკოზის ყოველ 4-5 გ-ზე, როგორც გამხსნელი, შეჰყავთ 2 ერთეული ინსულინი

რიფამპიცინის ხანგრძლივი გამოყენებისას საჭიროა პერიფერიული სისხლის სურათის (ლეიკოპენია) და ღვიძლის ფუნქციის პერიოდული კონტროლი.

ახალშობილ და დღენაკულ ბავშვებს რიფამპიცინი ენიშნებათ მხოლოდ სასიცოცხლო აუცილებლობას შემთხვევაში. არატუბერკულოზური ინფექციის მკურნალობისას შესაძლებელია მიკროორგანიზმების სწრაფი რეზისტენტობის განვითარება. ამ პროცესის პრევენციისათვის აწარმოებენ რიფამპიცინის კომბინაციას სხვა ქიმიოთერაპიულ საშუალებებთან.

რიფამპიცინის ყოველდღიური მიღებისას, მის მიმართ ტოლერანტობა უკეთესია, ვიდრე პრეპარატის ხანგამოშვებითი მიღებისას. თუ საჭიროა შესვენების შემდეგ რიფამპიცინით მკურნალობის განახლება, იყენებენ დოზას-75 მგ-დღეშია, მისი 75 მგ ყოველდღიური გაზრდით სასურველი დოზის მიღწევამდე.

ამავე დროს აუცილებელია თირკმელების ფუნქციის კონტროლი, ხოლო საჭიროებისას დამატებით გლუკოკორტიკოსტეროიდების დანიშვნა. რიფამპიცინის ხანგრძლივი გამოყენებისას საჭიროა აგრეთვე პერიფერიული სისხლის სურათის და ღვიძლის ფუნქციის კონტროლი. არ შეიძლება ბრომსულფალენით დატვირთვის სინჯის ჩატარება, ვინაიდან რიფამპიცინი კონკურენტული სახით თრგუნავს მისი ორგანიზმში დანიშნულ გამოყოფას. მკურნალობის პერიოდში არ შეიძლება მიკრობიოლოგიური მეთოდების გამოყენება ფოლის მჟავას და ვიტამინი B<sub>12</sub>-ის კონცენტრაციის განსაზღვრისათვის სისხლის შრატში.

რიფამპიცინი ხელს უწყობს, შარდის, ცრემლის, ნახველის და რბილი კონტაქტური ლინზების შეფერვას მოყავისფრო წითელ ფერად. პასკის პრეპარატები ბენტონიტების შემცველობით (ალუმინის ჰიდროსილიკატი) შესაძლებელია დანიშნულ იქნას არა ნაკლებ 4 სთ-ისა რიფამპიცინის მიღების შემდეგ.

**სხვა წამლებთან ურთიერთქმედება**

რიფამპიცინი აქვეითებს: კორტიზონის, პრენისოლონის, მეთილპრედნიზოლონის, ნორეთისტერონის, ეთინილესტრადიოლის, არაპირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტების, პერორალური ჰიპოგლიკემიური პრეპარატების, თეოფილინის, დიგიტოქსინის, დიგოქსინის, ქინიდინის, სულფანილამიდების, მეტოპროლოლის, ბარბიტურატების, ფენიტოინის, ქლორამფენიკოლის, ვერაპამილის, ციმეტიდინის, მეტალონის, ვიტამინების 3 და მათი მეტაბოლიტების, კეტაკონაზოლის მოქმედებას. ამიტომ რიფამპიცინით მკურნალობის დასაწყისში და დამთავრების შემდეგ, აუცილებელია შესა-

ბამისად აღნიშნული პრეპარატების ინდივიდუალური დოზირება.

### ri fampicini (Rifampicin)

**ფორმა:** კაფსულა 150მგ

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

G.M.P. LTD, Georgia

MP 003219 14.04.00

იხ. რიფამპიცინი

### ri fampicini (Rifampicin)

**ფორმა:** კაფსულა 50მგ №30

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

SYNTHES S.A, Russia

R 0000443 17.02.01

იხ. რიფამპიცინი

### ri fampicini (Rifampicin)

**ფორმა:** კაფსულა 150მგ 300მგ №10

№100 №2000

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

SANAVITA GESUNDHEISMITTEL

GmbH, Germany

R 0001031 16.07.01

იხ. რიფამპიცინი

### ri fampicini (Rifampicin)

**ფორმა:** კაფსულა 150მგ №10x10

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

TROGE MEDICAL GmbH, Germany

R 0001482 03.12.01

იხ. რიფამპიცინი

### ri fampicini (Rifampicin)

**ფორმა:** კაფსულა 150მგ №20

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალება

SIC BORSHCHAHIVSKIY CHEMICAL-

PHARMACEUTICAL PLANT, Ukraina

R 0001769 25.03.02

იხ. რიფამპიცინი

### ri fampicini (Rifampicin)

**ფორმა:** კაფსულა 150მგ №10; №20

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

PHYTOPHARM LTD, Georgia

R 0004118 12.03.04

იხ. რიფამპიცინი

### ri fampicini 300mg BP

**(Rifampicin 300mg BP)**

**ფორმა:** კაფსულა 300მგ №1000

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის სამკურნალო საშუალება

TROGE MEDICAL GmbH, Germany

R 0000152 11.12.00

იხ. რიფამპიცინი

## ri fampicini (Rifampicinum)

**ფორმა:** ლიოფილიზირებული ფხვნილი საინექციო ხსნარის მოსამზადებლად 0,15გ ფლაკონი

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალება

BRINCALOV A, Russia

R 0002955 30.12.02

იხ. რიფამპიცინი

## rkinis sul fati - FERROUS SULFATE

**კლინიკო-ფარმაკოლოგიური ჯგუფი**

ანემიის საწინააღმდეგო საშუალება.

**ფარმაკოლოგიური თვისებები**

პრეპარატი აღადგენს ორგანიზმში რკინის დეფიციტს, რომელიც საჭიროა ჰემოგლობინის სინთეზისათვის. პრეპარატის მიღების შემდეგ რკინის შეწოვა ხდება უშუალოდ წვრილი ნაწლავის დისტალურ ნაწილში. შეწოვა იზრდება ორგანიზმში რკინის მარაგის დაქვეითებისას.

**ჩვენებები**

პრეპარატი გამოიყენება რკინადეფიციტური მდგომარეობისას ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში, ხანგრძლივი სისხლდენებისას, არარეგულარული და არასრულყოფილი კვების შედეგად გამოწვეული რკინის დეფიციტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის.

**დოზირება**

პრეპარატი მიიღება პერორალურად ჭამის შემდეგ. მკურნალობის ხანგრძლივობა დგინდება ინდივიდუალურად მკურნალი ექიმის მიერ.

მოსრულებში პრეპარატი მიიღება დღეღამის განმავლობაში 3 დრაჟე 2-ჯერ ჭამის შემდეგ. პრეპარატი ანალოგიური დოზით მიიღება ორსულობისა (რე და რე ტრიმესტრი) და ლაქტაციის პერიოდში.

4-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში მიიღება დღეღამეში ერთხელ ჭამის შემდეგ 3 დრაჟეს ოდენობით.

**გვერდითი მოვლენები**

აღინიშნება მუცლის არეში ტკივილები, გულისრევა, დებინება, დიარეა, ალერგიული რეაქციები.

**უკუჩვენებები**

პრეპარატის გამოყენება წინააღმდეგაჩვენება მასში შემავალი კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძობელობისას. აგრეთვე იმ დაავადებების დროს, რომლებსაც თან ახლავს ორგანიზმში რკინის დაგროვება (აპლასტიური და ჰემოლიზური ანემია, ტალასემია, ჰემოსიდეროზი, ჰემოქრომატოზი), რკინის შეთვისების დარღვევისას (სიდეროაქრესტიული ანემია, პერნიციოზული ანემია, ვიტამინ E<sub>12</sub>-ის უკმარისობა).

**განსაკუთრებული მითითებები**

მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია შრატში შრატისმიერი რკინისა და ფერითინის დონის გამოკვლევა. პრეპარატით მკურნალობა უნდა ჩატარდეს სისხლის სურათის ნორმალიზებამდე (8-12 კვირა). პრეპარატის მიღების შემთხვევაში შესაძლებელია ფეკალური მასების პიგმენტაცია, ბენზიდინის ცრუდადებითი სინჯი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დიდი რაოდენობით ჩაის მიღება ამცირებს რკინის იონების კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიერ შეწოვას.

**ჭარბი დოზირება**

სიმპტომებს წარმოადგენს გულისრევა, ღებინება, დიარეა. იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ჭარბი დოზირების მხრივ ეჭვი, მაშინ აუცილებელია შრატში შრატისმიერი რკინისა და ფერითინის დონის გამოკვლევის ჩატარება, კუჭის ამორეცხვა, რძისა და უმი კვერცხის მიღება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში რკინის იონების კავშირის და მათი შემდგომი გამოყოფის გასაძლიერებლად. თუკი შრატში აღინიშნება ფერითინის მაჩვენებლის მომატება, მაშინ აუცილებელია რკინის ხელატორის (დესფერალი) მიღება.

**სხვა წამლებთან ურთიერთქმედება**

ანტაციდური პრეპარატებთან, ქოლესტირამინთან, მეთილდოფასთან, თუთიის, მაგნიუმის, კალციუმის, ფოსფორის და ალუმინის შემცველ პრეპარატებთან, ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან, პენიცილინამინთან, ციპროფლოქსაცინთან, ნორფლოქსაცინთან, ოფლოქსაცინთან რკინის სულფატის ერთდროული გამოყენებისას რკინის შეწოვა მცირდება. პრეპარატის რკინის შემცველ სხვა პრეპარატებთან კომბინაცია არ არის რეკომენდებული.

## roakutani (Roaccutane)

**ფორმა:** კაფსულა 10მგ, 20მგ №30

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ფერიმჭამელების საწინააღმდეგო საშუალება

F.HOFFMANN-LA ROCHE LTD, BASEL Switzerland R.P Scherer GmbH&Co Kg, Germany

R 0003896 11.12.03

იხ. იზოტრეტინონი

## robinia komp. (Robinia comp).

**ფორმა:** დრაჟე 20გ

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ჰომეოპათური საშუალება  
WALA HEILMITTEL GMBH, Germany

R 0002890 28.02.03

## robitusini Tafli is da limonis aromati T (Robitussin Cough Drops Honey-Lemon)

**ფორმა:** წვეთები №9 ფლაკონი

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ზევლის საწინააღმდეგო საშუალება  
WHITHALL-ROBINS, USA

R 0000346 09.01.01

## rodaskoni (Rodaskon)

**ფორმა:** ტაბლეტი 0,05გ №20

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

მცენარეული სედაციური საშუალება  
GEORGIAN PHARMACEUTICALS GROUP JSC, Georgia

R 0001787 25.03.02

## rodopezis mal amo (Rodopesum unguentum)

**ფორმა:** მალამო 5% ტუბი, ფლაკონი 20გ

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ანტივირუსული საშუალება

G.A. of SCEINCES INSTITUTE of PHARMACOCHEMISTRY, Georgia

R 0001795 01.04.02

## rovamici ni (Rovamycine)

**ფორმა:** შემოვარსული ტაბლეტი 15000 000ერთ №16; 3000000ერთ №10

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
AVENTIS PHARMA-LABORATOIRE

AVENTIS, France

R 0002313 01.11.02

იხ. სპირამიცინი

## rovenal i (Rovenal)

**ფორმა:** შემოვარსული ტაბლეტი 100მგ №10 150მგ №10 300მგ №7

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
LECIVA S.A, Czech Republic

R 0001864 22.04.02

იხ. როქსიტრომიცინი

## rozameti (Rozamet)

**ფორმა:** კრემი 1% 25გ ტუბი

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ანტიმიკრობული, ანტიპროტოზოული საშუალება

JADRAN Co, Croatia

MP 003133 16.02.00

იხ. მეტრონიდაზოლი

## rozatum heil sal bi sal bi (Rosatum Heilsalbe salbe)

**ფორმა:** მალამო 30გ, 100გ

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ჰომეოპათური საშუალება  
WALA HEILMITTEL GMBH, Germany

R 0002865 28.02.03

## rozeniezen/grafiti i (Roseneisen/Graphit)

**ფორმა:** საინექციო ხსნარი 10სმლ №10

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ჰომეოპათური საშუალება  
WALA HEILMITTEL GMBH, Germany

R 0002866 28.02.03

## rokal trol i (Rocaltrol)

**ფორმა:** კაფსულა 0,5მგ №30; №100

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ვიტამინური პრეპარატი  
F.HOFFMANN-LA ROCHE LTD, BASEL Switzerland by R.P Scherer GmbH&Co Kg, Germany

R 0003891 11.12.03

## romeseki (Romesec)

**ფორმა:** ტაბლეტი 20მგ №14

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სამკურნალო საშუალება (პროტონუ-

ლი ტუმბის ინჰიბიტორი)

RANBAXY LABORATOIRES LIMITED,  
India  
MP 003348 12.06.00  
იხ. ომეპრაზოლი

### ronkol eikini (Ronkoleikin)

**ფორმა:** ფხვნილი საინექციო ხსნარისმოსამზადებლად  
0,25მგ(250 000სე) 0,5მგ(500 000სე)  
1მგ(1 000 000სე) ამპულა №5

#### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

იმუნომამოღებელი საშუალება  
BIOTECH LTD, Russia  
R 0001269 01.10.01  
იხ. ადამიანის ინტერლეიკინი 2

### rouvaqi (Rouvax)

**ფორმა:** ლიოფილიზირებული ფხვნილი საინექციო სუსპენზიის მოსამზადებლად  
10დოზა გამხსნელთან ერთად №10

#### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

წითელას ვაქცინა  
AVENTIS PASTEUR, France  
R 0004625 30.08.04

### roferoni A (Roferon A)

**ფორმა:** საინექციო ხსნარი 4,5მლ/0,5მლ №1 შხა შპრიცი  
R 0003893 11.12.03  
ხსნარი საინექციო შპრიცში 9სე/0,5მლ  
MP 003151 13.03.00  
საინექციო ხსნარი შპრიცში 3 000 000სე/0,5მლ  
R 0000586 19.03.01

#### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტივირუსული, იმუნომასტიმულირებელი საშუალება  
F.HOFFMANN-LA ROCHE LTD, Switzerland  
იხ. ინტერფერონ ალფა 2ა

### roqsibel i (Roxibel)

**ფორმა:** შემოვარსული ტაბლეტი 150მგ №10

#### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
NOBEL ILAC SANAYII VE TICARET A.S, Turkey  
R 0000237 18.12.00  
იხ. როქსითრომიცინი

### roqsidi 300mg (Roxid 300mg)

**ფორმა:** შემოვარსული ტაბლეტი 300მგ №5

#### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
T3A PHARMA GROUP, Egypt  
MP 002923 25.10.00  
იხ. როქსითრომიცინი

### roqsi tasi 150 (Roxitas 150)

**ფორმა:** ტაბლეტი 150მგ

#### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
INTAS PHARMACEUTICALS LTD, India  
MP 003329 20.06.00  
იხ. როქსითრომიცინი

### roqsi tromi cini – ROXITHROMYCIN

#### კლინიკო-ფარმაკოლოგიური ჯგუფი

მაკროლიდების ჯგუფის ანტიბიოტიკი

#### ფარმაკოლოგიური თვისებები

როქსითრომიცინი წარმოადგენს ნახევრად-სინთეზურ მაკროლიდების რიგის ანტიბიოტიკს პერორალური გამოყენებისათვის. პრეპარატი აქტიურია შემდეგი მიკროორგანიზმების მიმართ:

Bordetella pertussis, Borellia burgdorferi, Moraxella catarrhalis, Campylobacter coli, Campylobacter jejuni, Chlamydia trachomatis, Chlamydia psittaci, Chlamydia pneumoniae, Clostridium spp., Clostridium perfringens, Corynebacterium diphtheriae, Enterococcus, Gardnerella vaginalis, Staphylococcus, Neisseria meningitidis, Helicobacter pylori, Legionella pneumophila, Lysteria monocytogenes, Mycoplasma pneumoniae, Pasteurella multocida, Peptostreptococcus, Porphyromonas, Propionibacterium acnes, Rhodococcus equi, Streptococcus pneumoniae, Streptococcus spp. პრეპარატის მიმართ ზომიერად მგრძობიარენი არიან: Haemophilus influenzae, Ureaplasma urealyticum, Vibrio cholera, Staphylococcus aureus და Epidermidis.

პრეპარატის მიმართ ძღვრადია:

Acinetobacter spp., Bacteroides fragilis, Enterobacteriaceae, მეტიცილინ-რეზისტენტული Staphylococcus, Pseudomonas spp., Fusobacterium, Mycoplasma hominis, Nocardia.

#### ფარმაკოკინეტიკა

შეწოვა:

როქსითრომიცინი შიგნით მიღებისას კარგად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიერ. იგი სხვა მაკროლიდებთან შედარებით სტაბილურია კუჭის მჟავა არეში. როქსითრომიცინის მიღება ჭამამდე 15 წთით ადრე პრეპარატის ფარმაკოკინეტიკურ პარამეტრებზე გავლენას არ ახდენს. პრეპარატის კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში აღინიშნება მისი მიღებიდან 15წთ-ის შემდეგ. 150მგ დოზით პრეპარატის მიღებიდან სისხლის პლაზმაში მისი მაქსიმალური კონცენტრაცია (Cmax) შეადგენს საშუალოდ 6.6მგ/ლ 2.2სთ-ის შემდეგ, ხოლო 300მგ პრეპარატის მიღებიდან- (Cmax) შეადგენს საშუალოდ 9.6მგ/ლ 1.5სთ-ის შემდეგ. როქსითრომიცინის მიღება 12სთ-იანი ინტერვალით ხელს უწყობს სისხლის პლაზმაში დღეღამის განმავლობაში პრეპარატის ეფექტური კონცენტრაციების შენარჩუნებას.

განაწილება:

როქსითრომიცინი 150მგ დოზით დღეღამეში 2-ჯერ მიღებისას 10 დღის განმავლობაში მისი წონასწორული კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში აღინიშნება 2-4 დღის ინტერვალში. ამ დროს მაქსიმალური წონასწორული კონცენტრაციის C<sub>ssmax</sub> საშუალო სიდიდე შეადგენს 9.3მგ/ლ-ს, ხოლო პრეპარატის 300მგ დოზით მიღებისას ყოველ 24სთ-ში 11 დღის განმავლობაში- C<sub>ssmax</sub> შეადგენს 10.9მგ/ლ-ს.

როქსითრომიცინი კარგად აღწევს ქსოვილებში, განსაკუთრებით ფილტვებში (კონცენტრაცია 5.6-3.7მგ/კგ), ნუშისებურ ჯირკვლებში (კონცენტრაცია 2.6-1.7მგ/კგ) და

წინამდებარე ჯირკვალში (კონცენტრაცია 2.8-2.4მგ/კგ).

როქსითრომიცინი კარგად პენეტრირებს აგრეთვე უჯვრელის შიგნით, განსაკუთრებით ნეიტროფილურ ლეიკოციტებში და მონოციტებში და ასტიმულირებს მათ ფაგოციტურ აქტიუობას.

პრეპარატის პლაზმის ცილებთან კავშირი შეადგენს საშუალოდ 96%-ს. როქსითრომიცინი არა უმცირეს 0.05% გამოიყოფა ღედის რქესთან ერთად.

მეტაბოლიზმი და გამოყოფა:

როქსითრომიცინი განიცდის მეტაბოლიზმს. აქტიური ნივთიერების ნახევარზე მეტი ორგანიზმიდან შუუცვლელი სახით გამოიყოფა ძირითადად ნაწლავების და აგრეთვე თირკმელების საშუალებით.

ღვიძლისა და თირკმელების ნორმალური ფუნქციის მქონე პაციენტებში როქსითრომიცინის 65% გამოიყოფა ნაწლავების მიერ.

პრეპარატის ნახევრადგამოყოფის პერიოდი მისი 150მგ დოზით მიღების დროს შეადგენს საშუალოდ 10.5სთ-ს.

თირკმელების უკმარისობის დროს როქსითრომიცინი და მისი მეტაბოლიტები გამოიყოფა თირკმელების მეშვეობით მიღებული დოზის დაახლოებით 10%.

თირკმელების მძიმე უკმარისობის დროს პრეპარატის ნახევრადგამოყოფის პერიოდი ხანგრძლივდება 25სთ-ით, ხოლო C<sub>max</sub> იზრდება.

#### ჩვენებები

როქსითრომიცინი გამოიყენება მის მიმართ მგრძობიარე მიკროორგანიზმებით გამოწვეული მძიმე ინფექციების სამკურნალოდ:

-ზედა სასუნთქი სასუნთქი გზების ინფექციები (მათ შორის მწვავე ფარინგიტი, ტონზილიტი, სინუსიტი);

-ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები (მათ შორის პნევმონია, ბრონქიტი, ბაქტერიული ინფექციები ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების დროს, ატიპიური პნევმონია);

-კანისა და რბილი ქსოვილების ინფექციები;

-გენიტალიუმის ინფექციები (მათ შორის ურეთრიტი, ცერვიკოვავინტი);

-ინფექციები ოდონტოლოგიაში.

#### დოზირება

მოზრდილებს როქსითრომიცინი ენიშნებათ 150მგ-იანი დოზით 2-ჯერ დღეში 12სთ-იანი ინტერვალით. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დოზის გაზრდა 300მგ-მდე დღეში. პრეპარატის მიღების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების სიმძიმის ხარისხზე, მიკროორგანიზმის მგრძობიარეობაზე და ავადმყოფის მდგომარეობაზე.

ბავშვებში პრეპარატის საერთო დოზა შეადგენს 5-8მგ/კგ/დღეში, მკურნალობის ხანგრძლივობა არა უმეტეს 10 დღე.

თირკმელების უკმარისობით შეპყრობილ პაციენტებში-150მგ 1-ჯერ დღეში. როქსითრომიცინი ენიშნებათ საკვების მიღების წინ საკმარისი რაოდენობის წყალთან ერთად.

#### გვერდითი მოვლენები

ალერგიული რეაქციები: ურტიკარია, ანგიონევროზული შეშუპება, ბრონქოსპაზმი, საერთო სისუსტე; იშვიათად-ანაფილაქსიური შოკი.

დერმატოლოგიური რეაქციები: გამონაყარი, ჰიპერემია.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და ღვიძლის მხრივ: იშვიათად-გულისრევა, ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, დიარეა (იშვია-

თად სისხლიანი); ღვიძლის ტრანსამინაზების და ტუტე ფოსფატაზების აქტივობის ტრანზიტორული მომატება, ქოლესტაზური ან მწვავე ჰეპატიტი; ცალკეულ შემთხვევებში-პანკრეატიტის სიმპტომები. ც.ნ.ს-ის მხრივ: თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, პარესთეზიები. ზოგჯერ შესაძლებელია სუპერინფექციების განვითარება.

### უკურნებები

მომატებული მგრძობელობა მაკროლიდების მიმართ.

ერგოტამინის და დიჰიდროერგოტამინის ჯგუფის პრეპარატების ერთდროული მიღება:

### ორსულობა და ლაქტაცია

ორსულობის პერიოდში პრეპარატის გამოყენება ნებადართული არ არის.

როქსიტრომიცინი მცირე რაოდენობით გამოიყოფა დედის რძესთან ერთად, ამიტომ ლაქტაციის პერიოდში პრეპარატის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა ძუძუთი კვება შეწყვეტა.

### განსაკუთრებული მითითებები

როქსიტრომიცინი განსაკუთრებული სიფრთხილით ენიშნებათ ღვიძლის ფუნქციის დარღვევით დაავადებულ პაციენტებს. ამ დროს საჭიროა ღვიძლის ფუნქციის კონტროლი და პრეპარატის დოზის კორექცია. პრეპარატის დანიშნით თირკმელების ფუნქციის უკმარისობით შეპყრობილ და ხანდაზმულ პაციენტებში პრეპარატი დოზის კორექციას არ საჭიროებს.

### ჭარბი დოზირება

ამ დროს საჭიროა კუჭის ამორეცხვა და სიმპტომატური მკურნალობა. სპეციფიური ანტიდოტი არ მოიპოვება.

### სხვა წამლებთან ურთიერთქმედება

როქსიტრომიცინთან ერთად ერგოტამინისა და ერგოტამინის მსგავსი სისხლმარღვთა შემავიწროვებელი საშუალებების ერთდროული დანიშვნა ნებადართული არ არის "ერგოტიზმის" და კიდურების ქსოვილთა ნეკროზის განვითარების გამო.

დიგოქსინთან პრეპარატის კომბინაციით შესაძლებელია მისი აბსორბციის გაზრდა. მაკროლიდური ანტიბიოტიკები ტერფენადინთან კომბინაციაში ზრდიან მის შრატისმიერ კონცენტრაციებს, რაც იწვევს მძიმე პარაკუტოვანი არითმიების განვითარებას, რის გამოც მათი ერთდროული მიღება ნებადართული არ არის.

როქსიტრომიცინისა და არაპირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტების (ვარფარინი) ერთდროული დანიშნით იზრდება პროთრომბინის დრო.

როქსიტრომიცინი (ისევე როგორც სხვა მაკროლიდები) იწვევს მიდაზოლამის ნახევრადგამოყოფის პერიოდის გაზრდას.

როქსიტრომიცინთან თეოფილინისა და ციკლოსპორინის ა კომბინაციით ადგილი აქვს სისხლის პლაზმაში ამ უკანასკნელთა კონცენტრაციების მომატებას, იზოენზიმ CYP3A-ზე კონკურენტული მოქმედების გამო, იგი იწვევს PQ ინტერვალის გახანგრძლივებას დასან მძიმე არითმიას.

როქსიტრომიცინი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას დიზოპირამიდ შემაკავშირებელი პროტეინით, რომელიც იწვევს დიზოპირამიდის შრატისმიერი მაჩვენებლების მომატებას. ამ დროს რეკომენდებულია ელექტროკარდიოგრაფიული მაჩვენებლების მონიტორინგი და შესაძლებლობის მიხედვით სისხლის შრატში დიზოპირამიდის მაჩვენებლების განსაზღვრა.

## roqsi Tromicini (Roxithromycine)

**ფორმა:** ტაბლეტი 150მგ №10

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
G.M.P. LTD, Georgia  
R 0001687 01.02.02  
იხ. როქსიტრომიცინი

## roqsi Tromicini I eki (Roxitromycine Lek)

**ფორმა:** შემოგარსული ტაბლეტი 150მგ №10

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
LEK Pharmaceuticals and Chemical Company d.d, Slovenia  
R 0000647 02.04.01  
იხ. როქსიტრომიცინი

## roqsi spesi (Roxyspes)

**ფორმა:** ტაბლეტი 150მგ №10

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
SPECIFAR S.A. PHARMACEUTICALS, Greece  
R 0004353 14.05.04  
იხ. როქსიტრომიცინი

## roqsi tromicini 150mg (Rulid 150mg)

**ფორმა:** შემოგარსული ტაბლეტი 150მგ №10

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
HOECHST MARION ROUSSEL, Turkey  
R 0000131 06.12.00  
იხ. როქსიტრომიცინი

## roqsi tromicini 150mg (Rulid 150mg)

**ფორმა:** ტაბლეტი 150მგ №10

R 0002187 03.09.02

როქსიტრომიცინი 50მგ (Rulid 50mg)

შემოგარსული ტაბლეტი 50მგ №10

R 0003276 16.07.03

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი მაკროლიდების ჯგუფიდან  
AVENTIS PHARMA USIPHAR F-60200 COMPIEGNE, France  
იხ. როქსიტრომიცინი

## rocefini (Rocephin)

**ფორმა:** ფხვნილი 500მგ ფლაკონში გამსხნელით (2,5მლ ლიდოკაინით) ამპულა R 0002002 25.06.02

ამპულა 250მგ; 1გ 3,5მლ ლიდოკაინით

R 0002003 25.06.02

ფხვნილი ი.ვ. ინფუზიისათვის 2გრ ფლაკონში №1

R 0004272 21.04.04

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანტიბიოტიკი III თაობის ცეფალოსპორინების ჯგუფიდან  
F.HOFFMANN - La ROCHE AG, Switzerland  
იხ. ცეფტრიაქსონი

## rubi dani (Rubidan)

**ფორმა:** ლიოფილიზირებული ფხვნილი საინექციო ხსნარის მოსამზადებლად 20მგ ფლაკონში

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება  
HELP S.A. PHARMACEUTICALS (UNDER LICENSE BIOMEDIC LABORATORIES), Greece  
R 0000849 04.06.01  
იხ. დაუნორუბიციინი

## rubidoqsi (Rubidox)

**ფორმა:** ლიოფილიზირებული ფხვნილი ი/ვ საინექციო ხსნარის მოსამზადებლად 10მგ ფლაკონში

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება  
HELP S.A. PHARMACEUTICALS (UNDER LICENSE BIOMEDIC LABORATORIES), Greece  
R 0000852 04.06.01  
იხ. დოქსორუბიციინი

## rubital i forte (Rubital forte)

**ფორმა:** სიროფი მარწყვის და ტუხტის 125მლ ფლაკონი

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ხველის საწინააღმდეგო საშუალება  
PRODUCTION PHARMACEUTICAL ENTERPRISES "GEMI", Poland  
R 0003997 30.12.03

## rudi vaqsi (Rudivax)

**ფორმა:** ლიოფილიზირებული ფხვნილი ფლაკონში: გამსხნელი ფლაკ 1დოზა, 10დოზა

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ვაქცინა  
AVENTIS PASTEUR (PASTEUR MERIEUX), France  
R 0000907 14.06.01

## rumal aia (Rumalaya)

**ფორმა:** კრემი 30გ ტუბი №1

R 0003223 03.07.03

ტაბლეტი №60

R 0003231 03.07.03

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ანალგეზიური საშუალება  
THE HIMALAYA DRUG COMPANY, India

## rusedal i (Rusedal)

**ფორმა:** ტაბლეტი 10მგ №50

### ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

ტრანკვილიზატორი  
BYK GULDEN Lomberg Chemische fabrik GmbH/Oraneiburger Pharmawerk, Germany  
R 0000459 17.02.01  
იხ. მელაზეპამი

## **rutacidi (Rutacid)**

**ფორმა:** სალექტი ტაბლეტი 500მგ №20  
№60

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

ანტაციდური საშუალება  
KRKA d.d. Novo mesto, Slovenia  
R 0003911 12.12.03  
ინ. ტალციტი

---

## **rutozidi - RUTOSIDE**

**კლინიკო-ფარმაკოლოგიური ჯგუფი**

ვიტამინური პრეპარატი

**ფარმაკოლოგიური თვისებები**

პრეპარატი ხასიათდება ანგიოპროტექტული თვისებებით. იგი მიეკუთვნება P ჯგუფის ვიტამინებს და აქვეითებს კაპილარების მომატებულ განვლადობას, ამაგრებს სისხლძარღვების კედელს, ამცირებს მის შეშუპებას და ანთებით მოვლენებს. პრეპარატს გააჩნია ანტიაგრეგაციული მოქმედება, რაც ხელს უწყობს მიკროცირკულაციის გაუმჯობესების პროცესს. იგი ანელებს დიაბეტური რეტინოპათიის განვითარებას. ადგილობრივი გამოყენებისას მოქმედებს გამაგრებლად და დამაწმენდლად.

**ჩვენებები**

ვენების ვარიკოზული გაგანიერება ტკივილით და შეშუპებით, ზედაპირული ტრომბოფლებიტი, ტროფიკული დარღვევები და წყლულები ქრონიკული ვენური უკმარისობის დროს, პოსტთრომბოზული სინდრომი, ვარიკოზული ვენების რეზექციის შემდგომი პერიოდი, ჰემორაგიული დიათეზი, კაპილაროტოქსიკოზი, დიაბეტური რეტინო- და ანგიოპათია, ტროფიკული ცვლილებები სნივური თერაპიის შემდეგ. ტკივილი და შეშუპება ტრავმის შემდეგ (გარეგანი გამოყენებისათვის).

**დოზირება**

ინდივიდუალური, ჩვენების და გამოყენებული სამკურნალო ფორმის მიხედვით.

**გვერდითი მოვლენები**

პერორალური მიღებისას შესაძლებელია განვითარდეს დისპეფსიური მოვლენები, თავის ტკივილი, სახის ჰიპერემია. იშვიათადაც – გამონაყარი კანზე.

**უკუჩვენებები**

ორსულობის ო ტრიმესტრი, მომატებული მგრძობელობა რუტოზიდის მიმართ.

**განსაკუთრებული მითითებები**

პრეპარატი ინიშნება კომბინირებული თერაპიის შემადგენლობაში. რეკომენდებულია მისი ერთდროული გამოყენება ასკორბინის მჟავასთან.

---

## **rZemati (Rzemati)**

**ფორმა:** ფხვნილი 100გ; 150გ; 200გ

**ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:**

სარბევე ჯირკვლის ფუნქციის მასტიმულირებელი საშუალება  
JANELI LTD, Georgia  
R 0003236 14.07.03